GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 23 Nisan/აპრილი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 274.6	-6.2%	18.5 %	7.2 %

23 Nisan Ulusal Egemenlik ve Çocuk Bayramımız kutlu olsun!
გილოცავთ 23 აპრილს, თურქეთის ეროვნული სუვერენიტეტისა და ბავშვთა დღეს!

Gürcistan'ın Dış Ticareti Ocak – Mart 2021
საქართველოს საგარეო ვაჭრობა იანვარი - მარტი 2021 წ.

2021 yılı Ocak – Mart döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 2 773.2 milyon ABD doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %0.3 daha azdır. İhracat 820.6 milyon ABD dolar (%5.2 büyüme), ithalat ise – 1 952.6 milyon ABD doları (düşüş oranı %2.4) olmuştur. 2021 Ocak – Mart döneminde negatif ticaret bilançosu 1 131.9 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun %40.8 teşkil etmiştir.

2021 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 773.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.3 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 820.6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (5.2 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 1 952.6 მლნ. აშშ დოლარს (2.4 პროცენტით ნაკლებია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2021 წლის იანვარ-მარტში, 1 131.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.8 პროცენტია.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

2021 yılı Ocak – Mart döneminde Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağının payı %72.2 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakları aşağıdaki grafikten görebilirsiniz.

2021 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 72.2 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები ქვემოთ მოცემულ გრაფიკში შეგიძლიათ იხილოთ.



2021 yılı Ocak – Mart döneminde Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %71.5 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakların listesi aşağıdaki tablodan görebilirsiniz.

2021 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 71.5 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საიმპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

Türkiye / თურქეთი	$ 343 327.3
Rusya / რუსეთი	$ 220 370.9
Çin / ჩინეთი	$ 182 778.9
Azerbaycan / აზერბაიჯანი	$ 145 714.0
ABD / აშშ	$ 129 595.9
Ermenistan / სომხეთი	$ 114 752.6
Almanya / გერმანია	$ 95 944.2
Ukrayna / უკრაინა	$ 72 985.8
İtalya / იტალია	$ 53 265.0
Fransa / საფრანგეთი	$ 37 098.9
Diğer / სხვა	$ 556 736.3

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

2021 yılı Ocak – Mart döneminde Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %76.7 olarak teşkil etmiştir. En büyük ticaret ortakların listesi aşağıdaki tablodan görebilirsiniz.

2021 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 76.7 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

Çin / ჩინეთი	$ 109 794.4
Rusya / რუსეთი	$ 109 464.5
Azerbaycan / აზერბაიჯანი	$ 104 578.9
Türkiye / თურქეთი	$ 75 630.5
Ukrayna / უკრაინა	$ 66 379.8
Bulgaristan / ბულგარეთი	$ 59 516.5
Ermenistan / სომხეთი	$ 37 478.3
ABD / აშშ	$ 30 424.8
Espanya / ესპანეთი	$ 19 047.5
İsviçre / შვეიცარია	$ 17 093.2
Diğer / სხვა	$ 191 233.8

Ukrayna ve Gürcistan hükümet temsilcileri yeni mutabakat zaptı imzaladılar. Anlaşmaya göre, uluslararası karayolu taşımacılığı izinlerin değişimi için ülkeler arasında elektronik bir sistem kurulacak.

უკრაინისა და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლებმა ახალ მემორანდუმს მოაწერეს ხელი. შეთანხმების თანახმად ქვეყნებს შორის შეიქმნება ელექტრონული სისტემა საერთაშორისო სატვირთო საავტომობილო გადაზიდვების ნებართვების გაცვლის მიზნით.

Gürcistan Ekonomi Bakanı Natia Turnava, Tacikistan Cumhuriyeti Ulaştırma Bakanı Azim İbrahim'i ağırladı. Görüşme çerçevesinde ülkeler arasında uluslararası karayolu taşımacılığı konusunda sözleşme imzalandı.

საქართველოს ეკონომიკის მინიტრმა ნათია თურნავამ ტაჯიკეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრ აზიმ იბრახიმს უმასპინძლა. შეხვედრის ფარგლებში, ქვეყნებს შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Covid – 19
კოვიდ – 19

Gürcistan'da korona virüs vaka sayısının artış eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 8214'e ulaştı (ortalama: 1173 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 301 535'e ulaştı. Can Kaybı – 3 992, iyileşenlerin sayısı – 284 286, aktif vaka ise – 13 257. Halihazırda hastanelerde 3527, otellerde ise 682 kişi tedavi görüyor, 232 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %4.42'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %3.75'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %4.55'e eşittir.

Gürcistan'da aşı toplam 34 897 kişiye yapıldı.
Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 145 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 145 369 441; Can Kaybı – 3 085 954; İyileşen kişi sayısı – 123 651 425. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Fransa ve Rusya'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რიცხვის მზარდი ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 8214-ს უტოლდება (1173 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 301 535 შეადგინა, გარდაიცვალა 3 992, გამოჯანმრთელდა 284 286, ხოლო 13257 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 3527 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 682 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 232 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 4.42%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 3.75%, ხოლო 7 დღის 4.55%.

საქართველოში ჯამურად აცრა 34 897 ადამიანს ჩაუტარდა.
კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 145 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 145 369 441 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 3 085 954, ხოლო გამოჯანმრთელდა 123 651 425 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, საფრანგეთსა და რუსეთს ჰყავს.

İş Dünyası Başbakan İle Görüşmek İstiyor
ბიზნეს საზოგადოება პრემიერთან შეხვედრას ითხოვს

14 İş Derneği Gürcistan Hükümetine Hitap Ediyor. Ticari derneklerin ana talepleri Başbakanı ile görüşmek ve ülkeye getirilen kısıtlamaların hafifletmesidir. İş derneklerin temsilcileri, basın toplantısında 6 maddelik planı sundular. Planın amacı, ülkede getirilen kısıtlamaların kademeli olarak kaldırılması ve böylece ülkedeki mevcut ekonomik durumun iyileştirilmesidir.

14 ბიზნეს ასოციაცია საქართველოს მთავრობას მიმართავს. მათი მთავარი მოთხოვნა პრემიერ მინისტრთან შეხვედრა და კონკრეტული შეზღუდვების შემსუბუქებაა. ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებმა მედიის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრის დროს 6 პუნქტიანი გეგმა წარადგინეს, რომლის მიზანიც დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნა და ამ გზით ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

6 maddelik planı aşağıdaki gibidir:
მათ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები კი შემდეგია:

- Sokağa çıkma yasağının acilen kaldırılması
  სასწრაფოდ მოიხსნას კომენდანტის საათი
- Turizm sezonu için ülkede aktif hazırlık süreçlerin başlatılması
  ქვეყანაში დაიწყოს ტურისტული სეზონისთვის აქტიური მზადება
- Restoranlara hafta sonları çalışma hakkı
  სარესტორნო ბიზნესმა დაიწყოს ფუნქციონირება შაბათ-კვირას
- Aşılama sürecinin hızlandırılması
  დაჩქარდეს ვაქცინაციის პროცესი.
- KOBİ'lere vergi yükünün azaltılması
  შემცირდეს საგადასახადო წნეხი მცირე და საშუალო ბიზნესზე.
- Ülkede yalnızca Olumsuz haberlerin yayılmasına son verilmesi
  შეწყდეს ქვეყანაში მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციის ტირაჟირება.

Yenilenmiş Kutaisi Havaalanı Yolculara Açıldı
ქუთაისის განახლებული აეროპორტი მგზავრებისთვის გაიხსნა



Kutaisi Uluslararası Havalimanı, imar çalışmalarının ardından yolculara açıldı. Üç aylık bir aradan sonra Wizz Air, Gürcistan ve Avrupa arasında direkt uçuşları yeniden başladı. Yenilenmiş hava alanında gelen ilk uçağa İmereti Valisi, Kutaisi Belediye Başkanı ve diğer yetkililer karşıladı.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ მგზავრებისთვის გაიხსნა. სამთვიანი პაუზის შემდეგ, ავიაკომპანია Wizz Air-მა, საქართველოსა და ევროპას შორის პირდაპირი რეგულარული რეისები განაახლა. განახლებულ აეროპორტში ჩამოსულ რეისს იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული, ქუთაისის მერი და სხვა ოფიციალური პირები დახვდნენ.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.4462 TRY/GEL – 0.4168 EUR/GEL – 4.1530 GBP/GEL – 4.7964

USD/GEL

16 - 23 Nisan 2021

USD/TRY

16 - 23 Nisan 2021

TRY/GEL

16 - 23 Nisan 2021



BTC – 48 795.71

16 - 23 Nisan 2021

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası